შრე

„ქალაქი არ ჰყვება საკუთარ წარსულს, ის მასში ისეა ჩაწერილი, როგორც ხელისგულზე ხაზები, ჩაწერილია ქუჩის კუთხეებში, სარკმლის ცხაურებში, კიბის მოაჯირებში, მეხამრიდებში, დროშის ტარებში, ნაკაწრების, ნახეთქების, ორნამენტების თითოეულ ხაზში.”

იტალო კალვინო, უხილავი ქალაქები

ევროკავშირი
საქართველოსთვის

GOETHE INSTITUT
თანადამფინანსებელი და
განმახორციელებელი

ქალაქი სტატიკური გეოგრაფიული სხეული არაა. ქალაქი, როგორც პალიმფსესტი, ერთმანეთზე გადადებული შრეებისგან შედგება, სადაც ისტორიული მეხსიერება, ландშაფტური სტრუქტურა და სოციალური მოვლენები იღექება.

გორის იდენტობაც ქალაქის ისტორიის, სივრცით-გეოგრაფიული კონტექსტის და კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების მუდმივ დინამიკაში არსებული ველია. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე გაშენებული და ისტორიულად სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მოქცეული ქალაქი დღესაც ინარჩუნებს პოზიციას, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის შეხვედრის ადგილი.

ქალაქის წარმოშობის ყველა ისტორიულ ცნობას თუ მოსაზრებას ციხემდე მივყავართ, რომელიც გორის უძველესი ჩანასახია. „სახელი გორისა მის არს ტონთიო და თარგმანებით - მთა ოქროსა“ (ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრება“). თავდაპირველად, გორი ციხე-ქალაქად განვითარდა, რომლის მიუვალი ციხე-სიმაგრე თავდაცვით და განძის სამალავ ნაგებობას წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, ქვეყნის ისტორიული მოვლენების პარალელურად, ციხის გარშემო ცხოვრების კვალი გაიზარდა და ქალაქმა რადიალურად გაშლა დაიწყო. მშვიდობიანობის დროს, უკვე შუა საუკუნეებში კი გაძლიერდა ეკონომიკური და კულტურული მოძრაობები - ვაჭრობა, ხელოსნობა. გორის იდენტობა თანდათან ძლიერდებოდა.

ქალაქის მრავალშრიანი სახის პირველად ფენად სწორედ გორის ციხე გვევლინება — ქალაქის შუაგულ ბორცვზე მდგარი სიმბოლო. მის გარშემო გაშენებული ციხის უბანი, ქუჩათა ქსელი — სამეფო ქუჩა, ქვის სახლები, ვიწრო ქუჩები, რომლებიც ჯერ კიდევ ინახავს ძველი ქალაქის ხასიათს. ციხის უბნის გარშემო ქალაქი უფრო დაგეგმარებულ, რეგულარულ უბანულ სტრუქტურად ყალიბდება და თანდათან ითვისებს ბუნებრივ ландშაფტებს.

უბანული იდენტობის მნიშვნელოვანი შემობრუნების ეტაპი და ქალაქის კიდევ ერთი შრე საბჭოთა ფენაა — გამზირებით, ბლოკებით, ბაზრებითა და გეგმარებითი ცენტრის იდეით. აქ გორი მკვეთრად იცვლის მასშტაბს: ჩნდება დიდი მოცულობები, ინდუსტრიული ზონები, ქარხნები, სადაც ქალაქი თითქოს დროებით ივიწყებს თავის ისტორიას და ახალ იდენტობას ირგებს. ამ პერიოდში ქალაქი ფართოვდება როგორც ფუნქციური სხეული, მაგრამ იდენტობის საკითხი უფრო იდეოლოგიური ხდება.

შემდეგი, უახლესი ფენა, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერი ცვლილებების და ჩამოყალიბების პროცესშია, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გაგრძელებაა. 1990-იანებიდან მოყოლებული ქალაქი კარგავს ცენტრალურ ფუნქციას, ზრდის პერიფერიებს და შედეგად, იღებს არაერთგვაროვან ხასიათს. გორი ახალი იდენტობის ძიებას იწყებს, პერიფერიებისკენ იშლება, იკავებს ახალ, აუთვისებელ ტერიტორიებს, თუმცა, ასევე, ვერ ახერხებს ისტორიული ცენტრის თუ მიტოვებული, გამოუყენებელი ტერიტორიების გადააზრებას. იცვლება ქალაქის სილუეტი, უბნების მასშტაბი და ხასიათი.

გასაკვირი არაა, რომ იდენტობის ძიებაში და ახალი განაშენიანებების ქაოსში ჩაკარგული ქალაქი ზურგს აქცევს მის ბუნებრივ გარემოს. გორის ციხე, მდინარეები, შემომზღუდავი მთიანი ландშაფტები თითქოს თავისთვის არსებობს და დისტანცირებულია ქალაქის ყოველდღიურობისგან.

ქალაქის ბუნებრივი ландშაფტები
ელემენტები და ბარიერები

ბუნებრივი ландშაფტი, ხანდახან, ქალაქზე უკეთ საუბრობს. განსაკუთრებით, ისეთ ქალაქებში, სადაც ландშაფტი ქალაქის მთავარი მაფორმირებელი ფაქტორია. ბუნებრივი გარემო გვკარნახობს გადაკვეთის წერტილებს, საცხოვრებლად სასურველ არეალებს, გადაადგილების ლოგიკას - ქუჩათა ქსელს.

გორის ბუნებრივი ландშაფტი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია უბანული განვითარებისა და იდენტობის კონტექსტში. გორის უბანულ იდენტობას ძლიერი ландშაფტური ელემენტები და ბარიერები ქმნის. მათი სისტემა და ურთიერთმიმართება ქალაქის სივრცით ლოგიკას აყალიბებს. ქალაქის ცენტრში აღმართული ციხის ბორცვის ჩამოყალიბება მის გარშემო მდინარეების დინების ტრაექტორიებმა განაპირობა, რამაც ბუნებრივი კონტექსტი შეუქმნა ქალაქის განაშენიანებას. ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე კვერნაქის ქედი, ხოლო სამხრეთიდან თრიალეთის ქედის მთიანეთი გაშლილ ველზე გაშენებულ ქალაქს შედარებით სიმყუდროვეს სძენს შიდა ქართლის ველზე გაბატონებული ძლიერი ქარებისგანაც.

პერიფერიული არეალების დინამიკა

ქალაქის კიდეები აღბათ ყველაზე შეუმჩნევლად მოქმედებენ ქალაქის ცხოვრებაში. თვალს მოშორებული არეალები ხშირად ყურადღების მიღმაც რჩება, არადა სწორედ ეს ტერიტორიები წარმოადგენს ყველაზე მგრძნობიარე და მოწყვლად სივრცეებს, სადაც ფიზიკურად ვლინდება ქალაქის ნამდვილი სურვილები: სურს თუ არა გაფართოება, აქვს თუ არა ძალა, ან იცის თუ არა საით მიდის. გორის პერიფერია, ამ კუთხით, თითქოს ნახევრად გააზრებული მცდელობაა — დაუდგენელი დინამიკის შედეგი და, ამავდროულად, ქაოსი.

დღეს გორის უბანული დინამიკა განსაკუთრებით პერიფერიებზე აისახება — იქ, სადაც სივრცე ჯერ კიდევ ნაწილობრივ ბუნებრივია, თუმცა თანდათან ამარცხებს განაშენიანების ძალა. ქალის უბანი ამის ერთ-ერთი აშკარა მაგალითია: ბოლო წლებში განვითარებული ტენდენციით - ქალაქის მერიის შენობის, ახალი სპორტის სასახლის აქ გაჩენამ მნიშვნელოვანი ძვრები და ინტერესები გააღვივა. დაიწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა რაც ეკოლოგიური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე და ქალაქის მწვანეს სივრცეების შემცირების ხარჯზე მიმდინარეობს.
მნიშვნელოვანია, რომ ქალის ბუნებრივ-ландშაფტური ტერიტორიების დიდი ნაწილი უკვე დაყოფილია მიწის ნაკვეთებად და მონიშნულია, როგორც პოტენციური განაშენიანების ზონა. ეს პროცესი ქმნის რეალურ საფრთხეს ქალაქის მწვანე საფარის დეგრადაციისა და გორის ეკოლოგიური ბალანსის რღვევის პროცესში.

სივრცე მტკივნეულად იცვლის ფორმას: რაც აქრე იყო სარეკრეაციო ზონა იყო, ახლა განაშენიანებული ტერიტორია ხდება; რაც აქრე იყო ქალაქგარეთ, ახლა ქალაქის განუყოფელი ნაწილი ხდება.

გორის პერიფერიები მხოლოდ ახალი უბნები არ არის. ისინი დროის სივრცეებია — ადგილები, სადაც ქალაქი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და თან უკვე არსებობს. ისინი ცენტრის იდენტობას არ მიჰყვება, არც მის ხასიათზე მორგებას ცდილობს— ეს არეალები ახალ მეხსიერებას ქმნის, რომელიც ქალაქის იდენტობაში გადაიზრდება.

ქალაქის უბანული სტრუქტურა
ქალაქის აღქმის წერტილები

ბუნებრივ ландშაფტთან ერთად გორს მრავალშრიანი და კომპლექსური უბანული სტრუქტურა გააჩნია, რაც საერთო ჯამში ქალაქის კულტურულ ფენას აყალიბებს.
ქალაქის ისტორიული განაშენიანების შრეებიც გორის ციხიდან იწყება და განვითარების ხაზის პარალელურად, რადიალურად იშლება მის გარშემო. გორის ციხის გარშემო გაშენებულ ციხის უბანს თავისი ზღუდე ჰქონია, რომელსაც ქალაქის თავდაპირველი მოსახლეობისთვის თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. ომიანობის შემცირებასთან ერთად, განაშენიანება სცდება ამ არეალს და ახალი ტერიტორიების ათვისებას იწყებს. მე-19 საუკუნიდან, რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში შესვლის შემდეგ, ქალაქის უბანული სტრუქტურა უფრო რეგულარულად დაგეგმილ სახეს ილებს, სადაც განვითარებას იწყებს კულტურული დანიშნულების ადგილებიც.

გორის პირველი უბანული ბირთვის - ციხის უბნის განვითარების შემდეგ ქალაქი მტკვრისკენ ვითარდება, რომლის მთავარ ღერძს სამეფო ქუჩა ქმნის. სამეფო ქუჩა გორის კულტურული ცხოვრების ეპიცენტრად იქცევა. ორსართულიანი, მიჯრით განვითარებული განაშენიანება ფუნქციური მრავალფეროვნებით და უბანული და არქიტექტურული ღირებულებით გამოირჩევა. საცხოვრებელ ფენასთან ზომიერად შერეული კულტურულ-საგანმანათლებლო შენობებით განაშენიანებული ქუჩა ადგილობრივი და ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობით ძეგლების სიმრავლით გამოირჩევა. აღნიშნული ძეგლების მნიშვნელობის მიუხედავად, მათი დღევანდელი მდგომარეობა და მათი ღირებულების დაცვა დღესდღეობით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვისა და მათი არქიტექტურული გადააზრების ბოლოდროინდელი პრეცედენტები - რენოვაციის პროექტები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის ხარჯზე შენობების გაყიდვა-გასხვისების შემთხვევები - არასახარბიელო ტენდენციას ქმნის.

ქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი და ძლიერი ელემენტია გორი თეატრი, რომელიც იმ იშვიათ შენობებსა და ფუნქციებს მიეკუთვნება, რომლებიც თავისი დამოუკიდებელი იდენტობით აძლიერებს ქალაქის იდენტობასაც, მის ისტორიულ ხაზს უწყვეტად მიჰყვება და თანამედროვეობაშიც აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ცხოვრებაში.

პოსტსაბჭოთა ფრაგმენტაცია

1990-იანების შემდეგ ქალაქი ფრაგმენტირდება — აღარ არსებობს ერთი გეგმა ან ცხოვრების წესი. ინდუსტრიული უბნები ჩერდება, მათი ნაწილი კერძო საკუთრებაში გადადის, ტერიტორიები კი რჩება, როგორც სივრცითი რესურსი. დღესდღეობით, მუნიციპალიტეტისგან აუქციონზე გატანილი კომბინატის მიწები და ნანგრევებად ქცეული ინდუსტრიული შენობები ინვესტორების მოლოდინშია. გორში ეს სიცარიელე ერთდროულად ძალასაც ატარებს და ტრავმასაც, თუმცა ის ჯერჯერობით წარსულსა და მომავალს შორის სიცარიელედ რჩება.

ინდუსტრიისგან დაცლილი, ეკონომიკური კრიზისის წინაშე მდგარი ქალაქისთვის მთავარი აქტივობა ვაჭრობა ხდება, რამაც ქალაქის უბანულ სივრცეებზე პირდაპირი გავლენა იქონია. ქუჩის ვაჭრობა და ბაზრები გაჩნდა ქალაქის ყველაზე მოძრავ ადგილებში — სადგურთან, ცენტრალურ ქუჩებზე, ბაზრის ძველ არეალში და ზოგჯერ საცხოვრებელ უბნებთანაც. გარევაჭრობა და არაფორმალური ბაზრები ხშირად გადაქარბებულად იჭრებოდა საზოგადოებრივ სივრცეებში.

ქალაქის შემოგარენში, განსაკუთრებით ქალის და კარალეთის მხარეს, მოსახლეობა გადაერთო მცირე მიწების დამუშავებასა და ბაზრებზე პროდუქციის გაყიდვაზე. ოჯახური მეურნეობები იქცა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმად.

ამ პერიოდში გორის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი, ხშირად დაუგეგმავი, მშენებლობები (განსაკუთრებით ქალა, წმინდაწყალი, ვერხვები), რამაც, ერთი მხრივ, გააჩინა მცირე სამშენებლო ბაზარი, რამაც გაზარდა ადგილობრივი მასალების გაყიდვისა და შრომითი დასაქმების შესაძლებლობები, თუმცა, მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ქალაქის არასისტემურ განაშენიანებას. ქალაქის განვითარების დღევანდელი, ქაოსური განაშენიანების ტენდენცია სწორედ ამ პროცესების გაგრძელებაა, რაც, ქალაქის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების, მათ შორის, ქალაქის გენერალური გეგმის, შემუშავებამაც ვერ გამოასწორა.

თანაცხოვრება ახალ უბნებთან

2008 წლის ომის შემდეგ ქაღაქში ახალი შრე ჩნდება — დევნილთა დასახლებები. ქაღაქის ჩრდილოეთით, პერიფერიულ არეალებში განაშენიანებული წმინდაწყლის, ვერხვებისა და სხვა დასახლებები არსებობის 17 წლის შემდეგაც იზოლირებულ სივრცით კუნძულებად რჩება. დევნილთა სხვა მსგავსი დასახლებებისგან განსხვავებით, ისეთ დასახლებებს, რომლებიც ქაღაქის საზღვრებში შეიქმნა და მის სატელიტ ერთეულად იქცა, მისი რესურსების როგორც გამოყენების, ასევე გაზიარების შესაძლებლობა ეძლევა.

გორი, როგორც მასპინძელი საკმარისად ძლიერი არ აღმოჩნდა, სოციალურ-ეკონომიკური რესურსებით ახალი დასახლებებისთვის ადეკვატური პირობები შეექმნა. აშკარაა, რომ სივრცითი პაუზები, რაც ქაღაქის ურბანულ სტრუქტურასა და ამ დასახლებებს შორის არსებობს, მენტალურ ბარიერებშიც აირეკლება. იმის მიუხედავად, რა დროა გასული, ან როგორია მათი საცხოვრებელი გარემო თუ საცხოვრებლის ხარისხი, დევნილთა უმრავლესობა სოციალურად ჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, განსაკუთრებით უფროს თაობებში. თუმცა ეს დასახლებები მაინც ცდილობს ქაღაქთან თანაარსებობას.

აქგანსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დასახლებების სივრცითი განვითარება, რაც კომპლექსური პროცესია და აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კონტექსტის სპეციფიკურობას, თემის კულტურულ-რელიგიური ღირებულებებს, ცხოვრების წესსა და ჩვეულებებს. ასევე, გასათვალისწინებელია აქ მცხოვრების თემისთვის პროფესიული განვითარებისა და ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რათა ისინი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მოიაზრებოდნენ. მნიშვნელოვანია გორის მკვიდრ მოსახლეობასთან თანაკვეთის სივრცეებისა და აქტივობების წახალისება. საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება და მათზე ზრუნვა ხელს შეუწყობს საზოგადოების ერთიანობის შეგრძნებას.

„გორის ღანდშაფტები“ არის გორელ ფოტოგრაფთა კლუბის პროექტი, რომელიც აფიქსირებს ქაღაქის სწრაფად ცვალებად გარემოს — ბუნებრივსა და ურბანულს. პანორამული ფოტოგრაფიისა და ურბანული კვლევის გზით პროექტი ცდილობს დოკუმენტირებულ ის სივრცეები, რომლებიც ცვლილების ზღვარზეა.
ეს დოკუმენტაციაა გორის დღევანდელ იდენტობაზე — შრეებად გაშლილი ქაღაქის პორტრეტი.

“გორის ღანდშაფტები” ხორციელდება პროექტის „შემოქმედებითი კომპასი“ საგრანტო კომპონენტის “შემოქმედებითი კავშირები” ფარგლებში, რომელიც საქართველოს რეგიონების შემოქმედებით სექტორში ახალი შესაძლებლობების გაჩენას, ცოდნის გაცვლასა და თანამშრომლობითი კავშირების გაღრმავებას უწყობს ხელს.
პროექტი „შემოქმედებითი კომპასი“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ბენეფიციარი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის შეხედულებებს.

ფოტოგრაფი:
ნიკა სომხიშვილი / გორელ ფოტოგრაფთა კლუბი

ტექსტის ავტორი:
ნუცა ღომსაძე

დიზაინერი:
მარიამ შაღამბერიძე

მდინარეები
უხილავი საზღვრები და გამყოფი ზოლები

მტკვარი და ლიახვი, მეჯუდასთან (ისტორიულ რუკებზე - მდ. ფშანი) ერთად გორის მთავარ ბუნებრივ არტერიებს წარმოადგენს. ერთი შეხედვით, ისინი აკავშირებს ქაღაქს და მას ერთ სისტემად კრავს, მაგრამ უფრო ხშირად — ისინი ბარიერებს წარმოადგენს.

მტკვარი ქაღაქისთვის უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენდა. სწორედ გორის ციხისა და მტვრის დამაკავშირებელი ღერძი ჩამოყალიბდა გორის უძველეს ქუჩად (სამეფო ქუჩა), რომელიც, ძველ ხიდთან ერთად, ციხის უბნის შემდეგ ქაღაქის განაშენიანების და კულტურული ცხოვრების უძველეს ფენას ქმნის. ლიახვი, მეჯუდასთან და მის შენაკადებთან ერთად გორის ციხის მაფორმირებელი მთავარი ელემენტია. ის ფიზიკურად ყოფს გორს ორ ნაწილად. მისი სანაპიროები კი, მნიშვნელოვანი ლანდშაფტური პოტენციალის მიუხედავად, დღესაც ხშირად უსისტემოდ გამოყენებული ან დეგრადირებული სივრცეებად რჩება.

გორის მდინარეების იდენტობა დღესდღეობით ნახევრად მივიწყებულია. და მაინც, ისინი ლანდშაფტურ საზღვრებს ქმნის, რომლებმაც გორის ურბანული ფორმა ისტორიულად ჩამოაყალიბა.

მთები და ბორცვები
ქაღაქის აღქმის წერტილები

გორის ციხის ბორცვი, კვერნაქის ქედი და გორიჯვრის მთა (თრიალეთის ქედი), თავისი სიმაღლეებითა და ვიზუალური დომინაციით, სივრცის კომპოზიციურ დინამიკას აყალიბებს. ისინი ქაღაქის აღქმისა და მასზე დაკვირვების მთავარ სცენას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ლანდშაფტური მაღლობები ქაღაქისთვის უმნიშვნელოვანეს სარეკრეაციო პოტენციალსაც წარმოადგენს, მათი ინტეგრაცია თანამედროვე ურბანულ ქსელში ფრაგმენტული, ან სულაც უგულებელყოფილია. ლანდშაფტი ქაღაქის განვითარების თანამედროვე სცენარში შორეულ, ფიზიკურ, მაგრამ არაგეგმარებით აქტორთა შორის რჩება.

ქაღაქის ცენტრში ფიზიკურად და სიმბოლურად დგას გორის ციხე. არა როგორც ცალკე ღირსშესანიშნაობა, არამედ როგორც მთელი ქაღაქის შემკვრელი, დამაგვირგვინებელი ელემენტი. ციხის ბორცვი ქმნის იმ პირველ პლატფორმას, საიდანაც იწყება გორის ხილვა და აღქმა და საიდანაც ქაღაქის ღირებული ხედების ძლიერი სახე ისახება.

აღმოსავლეთითა და სამხრეთით შემოსაზღვრული ქედები იმ უხილავ ჩარჩოს ქმნის, რომელიც გორის ლანდშაფტს სცენად აქცევს. კვერნაქის მთა ქაღაქის ყოველდღიურობაში უფრო მეტადაა ჩართული მისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე. მთაზე გაშენებული ქაღაქის სასაფლაო ამ ადგილის ქაღაქთან კავშირს აძლიერებს, თუმცა მხოლოდ ერთი, სპეციფიკური ფუნქციით. კვერნაქის მთის ქაღაქთან სიახლოვის, მისი რბილი რელიეფისა და მოსახერხებელი კავშირის მიუხედავად, ქაღაქის რეკრეაციულ ყოველდღიურობაში მისი ინტეგრირება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

საბჭოთა ქაღაქგეგმარება
სტალინიზმის ეპოქა

ქაღაქის ხასიათი და მასშტაბი მნიშვნელოვნად იცვლება საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა სრულიად გარდაქმნა ცხოვრების წესი და შესაბამისად, საცხოვრებელი გარემო, რაც პირდაპირ აისახა ქაღაქების განვითარებაზე. საბჭოთა ქაღაქგეგმარება ეფუძნებოდა ცენტრალიზებულ დაგეგმვას, მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციურ ზონირებას და მასშტაბურ ბლოკურ განაშენიანებას. ძირითად მახასიათებლებად ითვლებოდა გეგმარებითი სიმეტრია, ფართო გამზირები, მონუმენტური არქიტექტურა და საცხოვრებელი კვარტლების სტანდარტიზაცია. ამ ცხოვრების წესისა და მასშტაბის ეფექტი დღესაც იგრძნობა, ქაღაქის ურბანული სივრცე არაა მორგებული ადამიანურ მასშტაბს, რაც გორის მთავარი ქუჩებში ფეხით გადაადგილებისას განსაკუთრებით იგრძნობა.

იმასთან ერთად, რომ საბჭოთა პერიოდში ქაღაქების უმრავლესობამ ახალი იდენტობით დაიწყო ცხოვრება, რასაც მათი ურბანული გარემოს მნიშვნელოვანი გარდასახვა მოჰყვა, გორის ურბანულ გარდაქმნას კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი დაემატა - სტალინის ფენომენი. სტალინიზმის პერიოდში, გორი იქცა იდეოლოგიური ურბანიზმის ერთგვარ ველად. როგორც იოსებ სტალინის სამშობლო, ქაღაქი ინტენსიურად განაშენიანდა მაღალი ხარისხის სტალინური არქიტექტურით: ორნამენტებით გაფორმებული ფასადებით, თაღებითა და შადრევნებით, რომლებსაც უნდა გამოეხატა სახალხო სიმდიდრე და ღირსება. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში იწყება მისი სახლ-მუზეუმის მშენებლობაც, რომელიც ქაღაქის მთავარ ღერძზე (ახლანდელი სტალინის გამზირი) განთავსდა ისე, რომ რკინიგზის სადგურზე გაჩერებული მატარებლიდან მგზავრებისთვის პირდაპირი ხედით აღქმადი ყოფილიყო შენობა და მისი კოშკი.

საბჭოთა პერიოდში შეიქმნა ქაღაქის ძირითადი ქაღაქგეგმარებითი ქსელი, ჩამოყალიბდა ცენტრალური მოედანი და გაჩნდა პირველი ინდუსტრიული ზონები — გორი ცდილობდა ყოფილიყო როგორც პრესტიჟული, ისე ფუნქციურად მართული საბჭოთა ქაღაქი. ამ პერიოდიდან ქაღაქი იძენს მკაცრად დაგეგმილ ურბანულ სივრცეს, ფართო ქუჩებსა და ძლიერ ინფრასტრუქტურას. ქაღაქის საზღვრები კიდევ უფრო პერიფერიებზე გადის, სადაც ქაღაქის ინდუსტრიული ზონები ვითარდება. ამ დროიდან იწყება გორის დასავლეთით, ლიახვის გადაღმა, ახალი, ქაღაქის უდიდესი ინდუსტრიული დანიშნულების უბნის - კომბინატის განვითარება, რომლის მომუშავე პერსონალისთვისაც დაიგეგმა მიმდებარე საცხოვრებელი უბანი. იმის მიუხედავად, რომ საკუთრივ ამ უბნისთვის მნიშვნელოვანი სოციალური ინფრასტრუქტურაც აშენდა (სკოლები, ბაღები, კულტურის სახლი), კომბინატი მაინც საძილე უბნად დარჩა.